პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ოქტომბერი სამშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 236 (16057)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ჰონეკერი ულოცავს ლ. ი. ბრეჟნევს უმაღლეს ჯილდოს.

ს. სმირნოვის ტელეფოტო.

ერთად დიადი მიზნისაკენ

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ერიხ ჰონეკერს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საახალმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვილი შტოფს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ჰორსტ ზინდერმანს

ძვირფასო ამხანაგებო!

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავის ღირსშესანიშნავ დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალე ძმურ სალამს უთვლიან და გულითადად ულოცავენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს, თქვენი ქვეყნის მთელ ხალხს.

გერმანიის მიწაწყალზე მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს დაბადება გერმანელი ხალხის ისტორიაში მარტო მკვეთრ შემობრუნებას როდი ნიშნავდა. მან შეცვალა მთელი პოლიტიკური ვითარება ევროპის ცენტრში. ხალხები, რომლებმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სულითა და გულით მიეხალმნენ ახალგაზრდა რესპუბლიკას. რომელმაც იკისრა ძნელი, მაგრამ კეთილშობილური ისტორიული მისია — სამუდამოდ ამოეფხვრა მილიტარიზმი და რეაქცია, გარდაექმნა საზოგადოება ცხოვრება, მეცნიერული კოშუნიზმის პრინციპების საფუძველზე, დაეშკვიდრებინა მეზობელ ქვეყნებთან და ხალხებთან ახალი ურთიერთობა — თანამშრომლობისა და მეგობრობის ურთიერთობა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა და განვითარების 25 წელი იყო ამ დიადი მიზნისაკენ განუხრელი მტკიცე წინსვლის წლები, პოტსდამის მშვიდობისმოყვარული დემოკრატიული პრინციპების განხორციელებისათვის მტკიცე ბრძოლის წლები. რესპუბლიკის განვითარების შედეგები ახარებს მშვიდობისა და სოციალიზმის ყველა მეგობარს. თქვენი დღესასწაული, ძვირფასო ამხანაგებო, ეს ჩვენი დღესასწაული, საბჭოთა კომუნისტების, საბჭოთა ხალხის დღესასწაულიც არის.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სხვა დემოკრატიული პარტიებისა და ეროვნული ფრონტის ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით რესპუბლიკის მუშათა კლასმა, კოოპერირებულმა გლეხობამ, სახალხო ინტელიგენციამ უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობა გაწიეს, შეიქმნა და კვლავ უმჯობესდება სოციალისტური სახელმწიფოებრიობა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ფართო დემოკრატიულ უფლებებს, მათს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ თუ პატარა საკითხებში. ბევრად გაიზარდა ქვეყნის საწარმოო ძალები. და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი განვითარებული საწარმოო პოტენციალი — მისი ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და ტექნიკა — მოლიანად ჩაყენებულია მშრომელი ხალხის ინტერესების სამსახურში. რესპუბლიკის თვითეული მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია ცხოვრების, შემოქმედების, თავისი ნიჭის განვითარებისა და გამოყენების ღირსეული პირობები.

საყოველთაო აღიარებით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალ მიღწევათა შორის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლაში აღიზარდა ადამიანთა ახალი თაობა — სოციალისტური სამშობლოს პატრიოტები, მტკიცე ინტერნაციონალისტები, რომლებიც მზად არიან თავიანთი ცოდნა და ძალღონე მოახმარონ კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

პირველი გერმანული მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნა და განვითარება მიმდინარეობდა და კვლავაც მიმდინარეობს სოციალისტურ სახელმწიფოთა ძმური თანამეგობრობის განმტკიცებასთან მჭიდრო კავშირით. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მუშაობაში, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის პროგრამის რეალიზაციაში, რომელიც ხელს უწყობს თვითეული მომმე ქვეყნის მიერ ეროვნულ ამოცანათა გადაწყვეტასა და მათი ერთობლივი ძალიერების გადიდებას. აქტიურია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის როლი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეთანხმებული საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში. იგი ღირსეულად მონაწილეობს ბრძოლაში იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საქმისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე ყველა სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების, მზოფლიოს მთელი პროგრესული საზოგადოებრიობის თანმიმდევრული და შეუპოვარი ბრძოლის მეობებით ჩაიშალა რეაქციის ძალების ცდები — იზოლაციაში მოექცათ რესპუბლიკა, ახლა იგი ცნო სახელმწიფოთა უდიდესმა უმრავლესობამ, მან თანასწორუფლებიანი ადგილი დაიკავა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებს, მშრომელებს ყველა საფუძველი აქვთ იამაყონ იმ თვალსაჩინო შედეგებით, რომლებთაც მათი სახალხო სახელმწიფო შეეგება თავის 25 წლისთავს. საბჭოთა ადამიანები იზიარებენ ამ სიამაყეს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები სოციალიზმის საქმის საერთო წარმატებად მიაჩნიათ.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენნი რესპუბლიკის არსებობის მთელი 25 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ახორციელებდნენ გერმანული მუშურ-გლეხური სახელმწიფოსადმი ყოველნაირი მხარდაჭერის, ჩვენი ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარების კურსს. ამ თანამშრომლობის ნაყოფი წლითიწლობით მრავლდებოდა: საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. დღეს იგი ორივე ჩვენი ქვეყნის განვითარების არსებითი ფაქტორი გახდა. ჩვენ კვლავაც განუხრელად განვახორციელებთ საბჭოთა ხალხისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების პოლიტიკას. და ჩვენ დიდად ვიფასებთ, რომ ასეთივეა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტთა, მშრომელთა კურსი, ასეთია მათი მტკიცე ნება.

კიდევ ერთხელ, მხურვალედ მოგილოცავთ ხასიხარულო დღესასწაულს, გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების ისტორიული ამოცანის შესრულებაში.

გაუმარჯოს და აყვავდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა!

დიე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა!

ლ. ბრეჟნევი — ნ. პოდგორნი — ა. კოსიგინი

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკადრისი სპეც. კორ.). დღეს ნიდერშმაკუზენის სასახლეში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ჰონეკერმა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — კარლ მარქსის ორდენი.

გადაეცემას ესწრებოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ზინდერმანი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის მთავრობის წევრები. აქვე იყვნენ სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები — ამხანაგები ა. ა. გრეჩკო, ა. ა. გრომიკო, პ. მ. მაშეროვი, კ. თ. კატუშევი, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. პ. გრიგორიავიჩუსი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი. სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. ჯ. ეფრემოვი. ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნის თანაშემწეები კ. ვ. რუსაკოვი და ა. მ. ალექსანდროვი.

ორდენის გადაცემის დროს ამხანაგმა ე. ჰონეკერმა სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ე. ჰონეკერის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევ!

ძვირფასო საბჭოთა ამხანაგებო!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ და მინისტრთა საბჭომ მომცეს დავალება, რომელიც დიდ პატივად მიმაჩნია და რომელსაც დიდი სიხარულით ვასრულებ: მე დამავალეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს გადავცე კარლ მარქსის ორდენი. გადასცემს რა სოციალისტური გერმანიის მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ამ მაღალ ჯილდოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობა პატივისცემით აღნიშნავს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის თვალსაჩინო დამსახურებას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძლიერებისა და ერთიანობის განმტკიცების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საბრძოლო კავშირის, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობისა და ძმური ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები, ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე, აღსავსენი არიან თქვენდამი ღრმა პატივისცემისა და გულწრფელი სიმპათიის გრძნობით. ჩვენი რესპუბლიკის ხალხი ამხანაგ ბრეჟნევს იცნობს როგორც წმყვან წარმომადგენელს ლენინის პარტიის და ქვეყნისა, რომლებიც უმაგალითო ერთგულებით ასრულებენ კაცობრიობის პროგრესის პირველმეკვალეთა განმათავისუფლებელ მისიას.

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მთელი ცხოვრება და მთელი რევოლუციური მოღვაწეობა ღრმად გამსჭვალულია კეთილშობილური იდეებით, რომლებითაც კარლ მარქსმა, ფრიდრიხ ენგელსმა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ყველა ხალხს დაუსახეს. დიადი მიზნის — ნათელი კომუნისტური მომავლის მიღწევის მეცნიერულად დასაბუთებული გზა.

მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება, ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძევ, მიუძღვენით კაცობრიობის ყველაზე კეთილშობილურ საქმეს, როგორც ზუსტად დაახასიათა კომუნისტთა როლი ნიკოლოზ ოსტროვსკიმ.

სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის გიგანტური ბრძოლის ყველა უბანზე თქვენ თავი გამოიჩინეთ როგორც ლენინური ტიპის ნაცადმა მებრძოლმა და ხელმძღვანელმა.

გადმოგიცემთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძევ, კარლ მარქსის ორდენს ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავის დღეს. და ამაში ჩაქსოვილია ღრმა აზრი. რადგან სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შვილების განმათავისუფლებელი გმირობის პირმშოა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ლენინმა და მის მიერ შექმნილმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თავიანთი მკაფიო მაგალითითა და თავიანთი მუდმივი დახმარებით ხელი შეუწყეს გერმანიის პროლეტარიატის რევოლუციურ ძალებს, რომელთა სათავეში იდგნენ კარლ ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი და ერნსტ ტელმანი, გერმანიის კომუნისტური პარტიის სახით შეექმნათ გერმანიის მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური პარტია.

1945 წლის მაისში საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელი გმირობა ვაბდა. იმის გადამწყვეტი წინამძღვარი, რომ მშრომელ ხალხს გაერთიანებული მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, რომელმაც 25 წლის წინათ გამოაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, შეძლებოდა გერმანიის მიწაწყალზე აეშენებინა მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

როცა დიდი ოქტომბრის შვილებმა, ლენინის ქვეყნის მეომრებმა, წითელი დროშა აღმართეს რაიხსტაგის შენობაზე, მათ მოგვიტანეს მშვიდობა და ფაშიზმისაგან განთავისუფლება. ამასთან ერთად კარლ მარქსის სამშობლოს დაუბრუნეს ლენინის ქვეყანაში პირველად განხორციელებული ფასი ადამიანების ძლევამოსილი ხორცშესხმის გამოცდილება, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა აქვს.

გადასცემენ რა კარლ მარქსის ორდენს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, ნაცად ლენინელს, განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის გენერალს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტები და ყველა მშრომელნი მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და დიდ საბჭოთა ხალხს ლენინიზმის მეცნიერული თეორიისა და პრაქტიკისათვის, რომლებიც გამარჯვების საწინდრად იქცნენ.

(დასასრული მე-3 გვ.).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 25 წლისაა

საზეიმო სხდომა ბერლინში

ბერლინი, 6 ოქტომბერი (საკადრის სპეც. კორ.). დღეს აქ ვეგნერ შეელენბინდერის სასელობის დარბაზში გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავს.

დარბაზში შეიკრიბნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სახელმწიფო საბჭოს წევრები, სახალხო პალატის დეპუტატები, ეროვნულ ფრონტში შემავალი პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, გერმანიის მუშათა მოძრაობის ვეტერანები, შრომის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის ოოდვაწენი.

აქვეა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 25 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების დელეგაცია და დიდი სამამულო ომის ვეტერანთა დიდი ჯგუფი.

შეკრებილნი მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ფეხზე ამდგარნი შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ჰონეკერს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. შტოფს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჰ. ზინდერმანს, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს. მათთან ერთად პრეზიდიუმში არიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

შესრულდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ჰონეკერმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, შეკრებილნი მას ფეხზე ამდგარნი, მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ბერლინი. 6 ოქტომბერი. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

ს. სმირნოვის ტელეფოტო.

ამხანაგ ე. ჰონეკერის სიტყვა

ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო!

დღეს ისეთი დღეა, რომელიც სიხარულითა და სიამაყით აღავსებს მთელ ჩვენ ხალხს. ზეიმობთ ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — პირველი გერმანული სახელმწიფოს დაბადების 25 წლისთავს. სახელმწიფოსი, სადაც ხელისუფლებას ახორციელებენ მუშები და გლეხები. სადაც მშრომელი ხალხი თავისი ბედის ბატონ-პატრონია. 1949 წლის 7 ოქტომბრის იმ დღის სახელოვანი საბჭოთა არმიის მიერ ფაშიზმის უღლისაგან ჩვენი ხალხის განთავისუფლებისა და სიძლიერებით აღსავსე პირველი წლების შემდეგ, დავადგინეთ ახალი. სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის გზას. შეიქმნა სახელმწიფო, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი წყვილ იმპერიალისტურ წარსულთან და იმთავითვე შეეჭიდა წვლილი მშვიდობის შენარჩუნებისა და მტკიცე უზრუნველყოფის საქმეში. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ეროვნული ისმის, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ნიშნავდა შემობრუნების პუნქტს გერმანელი ხალხის, ისევე როგორც მთელი ევროპის, ისტორიაში.

გვახარებს, რომ ჩვენი იუბილეს გამო ჩვენ შორის არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი. ჩვენი კარი მეგობარი და ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

ჯულითადი მიღება, რომელიც ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობამ მო-

(დასასრული მე-2 გვ.).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ჰონეკერ!

პატივცემულო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებო!

პატივცემულო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დეპუტატებო, ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს წევრებო!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

დღეს აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ აღვნიშნოთ თარიღი, რომელსაც უღრმესი ისტორიული აზრი აქვს.

კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სამშობლოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაბადება დიდნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა მსოფლიო სოციალიზმის განვითარებაში. იმ გზით, რომელიც კაცობრიობას გაუკვალა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ.

ეს ასეა იმიტომ, რომ იგი მოასწავებდა ძირეულ შემობრუნებას თქვენი ქვეყნის მშრომელთა ბედიღბალში, მათს გამარჯვებას რევოლუციურ ბრძოლაში მილიტარიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, სოციალისტური იდეალების გამარჯვებისათვის.

ეს ასეა, იმიტომ რომ იგი მოასწავებდა სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის საერთო პოტენციალის არსებით გადიდებას.

ეს ასეა, იმიტომ რომ მას უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის ისტორიაში, კონტინენტზე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში.

ეს ასეა, იმიტომ რომ სამრეწველო თვალსაზრისით განვითარებულ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის

(გაგრძელება მე-2 გვ.).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 25 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ე. ჰონეკერის სიტყვა

(დასასრული)

———

პატივცემულ ოლეგ ბარანოვ!

ამხანაგებო!

ჩვენ ვუწყოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას-ძე, და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის გუშინ ბერლინში ჩამოსვლისას, იყო ჩვენი პარტიების, ჩვენი სახელმწიფოებისა და ჩვენი ხალხების ღრმა ძმური კავშირურთიერთობის კიდევ ერთი გამოხატულება. თქვენი სახით ჩვენ მივესალმენით ლენინის პარტიის — საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ავანგარდის — წარმომადგენლებს. ჩვენ გეუბნებით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ როგორც საბჭოთა ხალხის წარმომადგენელს, ხალხისა, რომელიც აშენებს კომუნიზმს და, სკკპ XXIV ყრილობაზე გამოცხადებული მშვიდობის დიადი პროგრამის განხორციელების კვალობაზე, ძირფესვიანად გარდაქმნის სამყაროს, ამასთან საბჭოთა ხალხის მხარეზე განუწყვეტლივ დგება სულ უფრო მეტი ერთგული მეგობარი, რომლებსაც სამუდამოდ გაუთავნის ჩვენი სოციალისტური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც.

ყველაზე ღრმად იმით, რომ ამ საზეიმო სხდომას ესწრებიან საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე პარტიათა წარმომადგენლები და ჩვენდა გამოვთქვათ უდიდესი სიხარული და კმაყოფილება იმის გამო, რომ დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით ჩვენ ვეწვიეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის III კონგრესს. ეს ფაქტი ჩვენ ასევე ვაფასებთ, როგორც ერთ-ერთ ფაქტორს ჩვენ ორ ქვეყანას შორის ურღვევი ძმური ურთიერთობის ნამდვილ ნაყოფიერებაზე.

ჩვენ ვიცნობთ ერთიანი სოციალისტური პარტიის ბრძოლას ფაშიზმისაგან და შემოქმედებითი ძალისხმევა, ბრძოლა ჩვენ ხალხთა სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის საქმეში. თქვენ შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის პირველი მდივანი, ამხანაგი ერიხ ჰონეკერი. ასეთი მომავლისათვის, იმისათვის, რომ მარქსის, ენგელსის, ლენინის ძეგლებისა ოქტომბერი ... ...

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 25 წლისაა

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

ჩვენი თანამეგობრობის ქვეყნების პოლიტიკა, რომელიც ერთად შევიმუშავეთ და ერთად ვახორციელებთ, ნათლად მოწმობს: სოციალისტური სახელმწიფოები მზად არიან თავიანთი აქტიური როლი შეასრულონ ამ მიზნის მიღწევაში. ისინი მშვიდობისა და შეგობრობის ხელს უწყობენ კონტინენტის სხვა ქვეყნებს და კოსტრუქციულში თანამშრომლობის იმედი აქვთ.

ეს მარტო ევროპას როდი ეხება. ეს მართებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც. საბჭოთა კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა სახელმწიფო, შთაგონებულნი ლენინური საერთაშორისო პოლიტიკის პრინციპებით, პოლიტიკისა, რომლის უმაღლესი მიზანია სოციალური პროგრესის უზრუნველყოფა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების პირობებში, დაეხმარებოდა ებრძვიან ომის საფრთხის შემცირებისათვის, სამხედრო დაპირისპირების შესუსტებისათვ ი ს, გამაჯანსაღებული შეიარაღების შეზღუდვისათვის, ასევი შეიარაღების ხარჯების ტვირთის შემცირებისათვის, განიარაღებისათვის. ამ ჩვენს მოლიტიკას აღიარებს და მხარს უჭერს დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანი.

ნეონაცი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ზოგიერთ ხელმძღვანელსაც სოლ უფრო ესმის, რომ დაუოკებელი გამაჯანსაღებული შეიარაღება ვერ გაჯერის სახელმწიფოთა შორის, და მით უმეტეს ორ მსოფლიო საზოგადოებრივ სისტემას შორის არსებულ წინააღმდეგობებს, ვერ მოუტანს უშიშროებას ხალხებს.

ყოველივე ამან შექმნა შესაძლებლობანი, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე დადებულიყო დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი გამაღიერული შეიარაღების რამდენადმე შეჩერებლის შესახებ. ეს შეთანხმებანი კაოგად მოქმედებენ. მაგრამ ისინი მხოლოდ დასაწყისია, ასლა საჭირო ნინსვლა. ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოლაპარაკებას ამის თაობაზე, უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირისა და აშერიკის შეერთებული მტატეს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ და ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შეფცირების შესახებ.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირმა წამოაყენა მთელი რიგი ახალი კონკრეტული წინადადებანი გამაღიერული შეიარაღების შეზღუდვისა და გაჯიარდების თაობაზე.

ჩვენ, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად შევიტანეთ წინადადება, რომ აიკრძალოს ბუნებრივ გარემოსა და კოსმატურ ზემოქმედება სამხედრო და სხვა მიზნებით, რომლებიც შეუთავსებელია საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის, ადამიანთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ინტერესებთან. ეს წინადადება ბეჭრმა სახელმწიფომ მოიწონა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ჩვენი კონტაქტების მსვლელობაში განვაგრძობთ ყველაზე საშიშ, მომაკვდინებელ სახეობათა ქიმიური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დადების თაობაზე ერთობლივი ინიციატივის კონკრეტული ფორმების შემუშავებას.

საბჭოთა კავშირი, როგორც უკვე ამას წინათ აღვნიშნე, მზად არის ნებისმიერ დროს შეეთანხმდეს აშერიკის შეერთებულ შტატებს ხმელთაშუა ზღვიდან ატომური იარაღით აღჭურვილი საბჭოთა და აშერიკული ხომალდებისა და წყალქვეშა ნავების გამოყვანის თაობაზე. ჩვენ ვიღებენ ავრეთვე იმისათვის, რომ დაიღოს შეთანხმება ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდების სრული აკრძალვის შესახებ.

ასეთია მხოლოდ ზოგიერთი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საკმაებით შესაძლებლად მიგვაჩნია უახლოეს დროში. ჩვენ მტკიცედ ვიბრძოლებთ ამ წინადადებათა მიღებისათვის, რადგან იმედი გვაქვს, რომ მათ გაგებით მოკიდებიან და მხარს დაუჭერენ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ამით სრულიადაც არ ამოიწურება ის, რაც შეიძლება გაკეთდეს და კიდევაც უნდა გაკეთდეს ომის საფრთხის შემცირებისა და გამაღიერული შეიარაღების ალაგმვისათვის. შეგიჩერთო ეს გამაღიერული შეიარაღება, შემდეგ კი გადავიდეთ შეიარაღების შემცირებაზე — ეს არის მთავარი მიზანი, რომელისაც. უნდა მივაღწეოთ ჩვენი საერთო საბოლოო მიზნის — საყოველთაო და სრული განიარაღების — გზაზე.

განიარაღებისათვის ბრძოლაში მოპოვებული წარმატებანი, უდავოდ, მნიშვნელოვანია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამას დაეჯერდეთ. საერთაშორისო ცხოვრება აყენებს ახალ პრობლემებს და ჯერ კიდევ არც ყველა ძველი პრობლემაა მთლიანად გადაჭრილი. ჯერ კიდევ მოგვაერებული არ არის ახლო. აღმოსავლეთის კრიზისი, თუმცა მისი გადაჭრის საჭირო წანამძღვრები დიდი ხანია შეიქმნა. ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არის აგრეთვე ნამდვილად მყარი მშვიდობა ინდოჩინეთის ხალხებისათვის, რომლებსაც, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა შეუდგნენ თავიანთი ცხოვრების მოწყობას ბარეშე ძალების ჩაურევლად. ეს, რა თქმა უნდა, სავსებით ეხება ვიეტნოსელ ხალხსაც. პლანეტის სხვა რაიონებშიც ჯერ კიდევ ბევრი შფოთიანი ადგილია.

ისევე როგორც წინათ, მწვავეა საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის სასარგებლო და, მე ვიტყოდი, შეუფაცვლელი როლი შეუძლია შეასრულოს სოციალისტური ქვეყნების ერთობლივმა მოქმედებამ. საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენნ პოლიტიკური ღონისძიებების კოორდინაცია მშვიდობის განმტკიცებისათვის, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებული ძალების ძმური თანამშრომლობა მშვიდობის დაცვისათვის — ყოველივე ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორებია. აქ, ისევე როგორც საშინაო განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა შეკავშირება, ერთიანობა ჩვენი შემდგომი წარმატებების უტყუარი საწინდარია.

ამხანაგებო! ძვირფასო მეგობრებო!

ამ ბოლო დროს ჩვენ გავხდით საერთოევროპული და, უფრო მეტიც, მსოფლიო მნიშვნელობის დიდ პოლიტიკურ მოვლენათა მოწმენი. საქმე ეხება ფაშიზმის დამხობას პორტუგალიაში და „შავ პოლკოვნიკთა“ დიქტატურის უსახელო კრახს საბერძნეთში. მრავალი ათწლეულის მანძილზე პირველად რეალურად დაისახა იმის პერსპექტივა, რომ ევროპა შეიძლება მთლიანად გაიწმინდოს ფაშისტური რეციმენისაგან. თუმცა უკანასკნელი დღეების მანძილზე ლისაბონში მომხდარი ამბები მოგვაფრთხილებენ, რომ ფაშიზმის დამხობის შემდეგაც რეაქცია არა ყრის ფარხმალს. ამიტომ დემოკრატიის ძალები ფხიზლად უნდა იყონ.

ნება მიბოძეთ ამ ტრიბუნიდან ჩვენი სოლიდარობა გამოვუცხადოთ პორტუგალიელ ხალხს, ვუსურვო სრული წარმატება თავისუფალი, დემოკრატიული პორტუგალიისათვის ბრძოლაში! ჩვენ სოლიდარული ვართ აგრეთვე საბერძნეთის პატრიოტულ ძალებთან, რომლებიც იღვწიან მათს ქვეყანაში დაწყებული დემოკრატიული პროცესის განვითარებისა და დამკვიდრებისათვის.

პორტუგალიის ფაშიზმის დამხობა ამავე დროს პორტუგალიის კოლონიალიზმის კრახი გახდა.

ოთხმოცდაათი წლის წინათ აქ, ბერლინში, იმ დროს კაიზერის რაიხის დედაქალაქში, ბერლინაზიელ სახელმწიფოთა ელჩებმა ბერლინის ტრაქტატი ხელი მოაწერეს. ამ ტრაქტატმა ეს ქვეყანა ევროპის ერთ-ერთ ძლიერ ბანკირად აქცია. ეს იყო კოლონიალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის ერთ-ერთი დამაგვირგვინებელი აქტი, რომელიც მის შემქმნელებს ლამის მარადიულად წარმოედგინათ. დღეს კი უკანასკნელი კოლონიური იმპერია ირღვევა. გვინეა-ბისაუს, მოზამბიკის, ანგოლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისა და პორტუგალიელი ხალხის ანტიფაშისტური მოძრაობის გაერთიანებული დარტყმების შედეგად.

პორტუგალიის კოლონიალიზმის მარცხი დიდი მიჯნაა აფრიკის კონტინენტზე კოლონიური მონობის სრული და საბოლოო მოსპობისათვის ბრძოლაში. დარწმუნებული ვართ, რომ მალე დადგება დღე, როცა მთელი აფრიკა — კეთილი. იმედის კონცხიდან დასავლეთ საჰარამდე — თავისუფალი იქნება!

სოციალისტური ქვეყნები ყოველთვის სრულ მხარდაჭერასა და ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ კოლონიათა განთავისუფლების მებრძოლებს. ეს მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია ჩვენს ინტერნაციონალურ მოვალეობად. იმ ხალხებთან ერთად, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური უღელი, მივიასალმებით ანტიკოლონიური რევოლუციის გამარჯვებებს, რომელიც თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი მძლავრი ამჩარებელია.

როცა ვფიქრობთ საერთაშორისო ურთიერთობის ხვალინდელ დღეზე, როცა ვიდგენთ მტკიცე, ურყევი მშვიდობისათვის, კარგად ვხედავთ, რომ ამ მიზნის მიღწევის გზა იოლი როდია. მშვიდობის საქმეს, დაძაბულობის შენელების საქმეს მარტო მომბრენი კი არა, არამედ აქტიური მოწინააღმდეგენიც ჰყავთ. მათ მორის, სამწუხაროდ, არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალნდელი ხელმძღვანელებიც.

სწორედ ამ დღეებში შესრულდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობის 25 წლისთავი. სახალხო რევოლუციის გამარჯვება დიადი მოვლენა იყო ჩინეთის ცხოვრებაში, მთელი მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ იმ ჩინელ კომუნისტთა გმირობას, რომლებიც გამოხატავდნენ თავიანთი ხალხის მისწრაფებებს და სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის, თავიანთ ქვეყნაში ახალი სოციალური წესების დამკვიდრებისათვის.

მაგრამ დღეს სხვა რამეზეც გვიხდება ლაპარაკი. არ შეიძლება სინანული არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ მაოისტური ხელმძღვანელების ნებით ჩინეთი დაადგა სოციალისტურ ქვეყნებთან კავშირის გაწყვეტისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის გზას, მსოფლიო რეაქციის ყველაზე აგრესიულ ძალებთან გაერთიანებისა და მათი წაქეზების გზას.

დარწმუნებული ვართ, რომ უსასრულოდ არ გასტანს ასეთი არაბუნებრივი მდგომარეობა. ამ შავბნელ ფურცელს ჩინეთის ხალხის ისტორიაში, სოციალისტური სახელმწიფოებთან მისი ურთიერთობის ისტორიაში აუცილებლად გადაშლის თვით ჩინელი ხალხი. ჩვენი მხრივ კი, ყოველ ღონეს ვხმარობდით და კვლავაც ვიხმართ, რათა მოვაწესრიგოთ ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, აღვადგინოთ ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა ჩინეთის კომუნისტებთან, მშრომელებთან. მიგვაჩნია, რომ ამას მოითხოვს როგორც სსრ კავშირის, ისე ჩინეთის ძირეული ინტერესები, მსოფლიო სოციალიზმის, ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისა და მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის ინტერესები.

ძვირფასო ამხანაგებო!

სოციალიზმის ტბრებს კარგად ესმით ჩვენი ქვეყნების ერთიანობის მნიშვნელობა. სწორედ მის წინააღმდეგ მიმართავენ ისინი თავიანთ მთავარ იერიშებს. ჩვენ ვიცით, რომ ორი სისტემის საზღვარზე მდებარე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე განსაკუთრებით მასირებულ ზემოქმედებას ახდენს იმპერიალიზმი. ყოველდღიურად რესპუბლიკის მოსახლეობას თავს ატყდება მტრული პროპაგანდის ნაკადი, რომლის მიზანი ის არის, რომ დათესოს ეჭვი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტიკისა და იმ გზის სისწორეში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხმა აირჩია, შეეცადოს, თუ ვერ განაცალკევებს, ჩამოაშოროს მაინც გერმანელ მშრომელთა სოციალისტური რესპუბლიკა სოციალისტურ სახელმწიფოთა დიად თანამეგობრობას.

ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება! გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს კარგად ესმით, თუ რა იმალება კლასობრივი მოწინააღმდეგის ვერაგული პროპაგანდის მიღმა. ისინი ამაყობენ თავიანთი მიღწევებით და უფრთხილდებიან მათ. კარგად იციან, თუ ვინ არიან მათი ნამდვილი და ერთგული მეგობრები.

მართლაც, სწორედ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქმნადობისა და განვითარების ისტორია განსაკუთრებით ცხადად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახლა სოციალისტურ სახელმწიფოთა ინტერნაციონალურ სოლიდარობას.

საბჭოთა კომუნისტებს წმინდა სინდისით შეუძლიათ თქვან: ურთულეს სიტუაციებშიც კი, როცა საქმე იმპერიალისტურ ძალებთან პირდაპირი კონფრონტაციის საფრთხემდე მიდიოდა, ოდნავაც კი არ გვიყოფმანია ძმური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების დაცვაში.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დიდად ვაფასებთ, რომ საბჭოთა ქვეყნასა-თან მეგობრობა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერნაციონალისტური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი ჯახდა, რომ იგი ახლოსელია თქვენი ქვეყნის მილიონობით მოქალაქისათვის: დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საბჭოთა ხალხი ასეთივე კეთილი გრძნობებით გეკიდებათ თქვენ. მარქსის, ენგელსის, ლენინის ინტერნაციონალისტური ანდერძისადმი ერთგული ჩვენი პარტია საბჭოთა ადამიანებს ზრდის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებთან მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით. იცოდეთ და გახსოვდეთ: ყოველ დროსა და ყოველ მოვენაში ჩვენ თქვენთან ერთად ვართ, თქვენს მხარეზე, სოციალიზმის მხარეზე ვართ, შრომის, მშვიდობისა და მშრომელთა ინტერნაციონალური ძმობის მხარეზე ვართ.

დაე ცოცხლობდეს და ჰყვაოდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა!

დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობა!

გაუმარჯოს სოციალისტური ქვეყნების დიად თანამეგობრობას — მშვიდობისა და პროგრესის საიმედო ბურჯს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

• • •

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დასასრული დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

ბოლო სიტყვებს დამსწრენი შეხვდნენ შეხზე ადგომით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით. დარბაზში ქუხს ოვაცია, დამსწრენი ერთხმად გაიძახიან: „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტია — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია!

„მეგობრობა — შრომისადმი!“.

• • •

საზეიმო სხდომის დასასრულს შესრულდა პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

• • •

ამხანაგ ე. ჰონეკერისა და ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები უდიდესი ინტერესითა და ყურადღებით მოისმინა მეილიონობით ადამიანმა საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში.

• • •

იმავე დღეს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დავალებით გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს გადასცა ურაველ მხატვრთა ორ ოატატა ხელით დამზადებული სამახსოვრო საჩუქარი. ეს არის ფერადი თვლებისაგან შესრულებული კომპოზიცია: საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები.

— ეს ფერადი თვლები, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — ოდითგანვე გამოხატავენ ცხებებს, რომლებიც საფუძვლად უდევთ ჩვენს მეგობრობას, — ერთგულებას, ურყევობას, სიხარეტაკეს. დაე ჩვენი მეგობრობა იყოს მარადიული, როგორც მარადიულია თვლები, რომლებისგანაც დაამზადებულია ეს რევოლუციური სიმბოლო!

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ამ ბ. ჰონეკერმა გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს ამ საჩუქრისათვის.

როგორც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს სახელით მოტანილი ვგერგვენთ.

მოიტანეს გვირგვინები აგრეთვე საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანებისაგან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებისაგან.

საბჭოთა ამხანაგებმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა წუთიერი დუმილით პატივის სცეს საბჭოთა მეომრების ხსოვნას.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს ტრეპტოვ-პარკში შეიკრიბა ბერლინის ათასობით მშრომელი. საბჭოთა განმათავისუფლებელი არმიის ღრმა პატივისცემის ნიშნად ძეგლი შეამკეს გვირგვინებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციებისაგან.

შემდეგ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელება გაემართნენ ფრიდრიხსფელდისაკენ. აქ გერმანიის რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეების ძეგლი გვირგვინით შეამკეს. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, საბჭოთა დელეგაციის წევრებმა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს სახელით ამ ამხანაგებმა ე. ჰონეკერმა, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა.

უნტერ დენ ლინდენზე, ტრეპტოვ-პარკში და ფრიდრიხსფელდზე ძეგლების გვირგვინებით შემკობის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაულები და შერულდა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გაღაეცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო

(დასასრული)

ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 25 წლის ისტორიის მანძილზე ლენინის პარტია და სახელმწიფო მუდამ იყვნენ ჩვენი საუკეთესო მეგობრები, კლასობრივი კომუნისტური ძმები. მაგრამ ნება მიბოძეთ დღეს აქ ვთქვა, თუ რაოდენ გაძლეკიცდა სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ძლიერებაც და რაოდენ გაძლიერდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აღმავლობა სწორედ იმ ათწლეულის მანძილზე, როცა ამხანაგი ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევი სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ხელმძღვანელობას. **(მქუხარე ტაში).**

